

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის

დადგენილება №

2023 წლის ... ივლისი

ქ. თბილისი

„საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2003 წლის 27 ივნისის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია ადგენს:

მუხლი 1

„საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2003 წლის 27 ივნისის №1 დადგენილებით (სსმ III, 14.07.03წ., №71, მუხ. 643) დამტკიცებულ „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელ წესებში“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 51¹ მუხლის „დ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.
2. 51¹ მუხლის „ჟ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ჟ) საანტენო და საფიდერო მოწყობილობა – რადიოგადამცემი სადგურით გენერირებული ელექტრომაგნიტური ტალღების ეთერში გასხივების სისტემა, რომელიც უშუალოდ გამსხივებელი ანტენის კონსტრუქციისა და ელექტრომაგნიტური ტალღების ანტენამდე მოწოდების (ფიდერი) მაღალსიხშირულად შეთანხმებული კვანძების ერთობლიობას წარმოადგენს;“.
3. 51¹ მუხლის „უ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„უ) სამოყვარულო რადიოსადგურების კატეგორიები: „A“, „E“ ექსტრა და „B“ სამოყვარულო რადიოსადგურები, რომლებიც გამიჯნულია განსაზღვრული ტექნიკური მახასიათებლებით (დასაშვები სიხშირული დიაპაზონები, გამოსხივების სახეობები და რადიოგადამცემი მოწყობილობის გამოსავალი სიმძლავრე);“.
4. 51¹ მუხლის „ჰ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„4L1, 4L2, 4L3, 4L4, 4L5, 4L6, 4L7, 4L8, 4L9 და 4L0 პრეფიქსის ბლოკები – სამოყვარულო რადიოსადგურის სახმობი ნიშნების პრეფიქსის ბლოკები, რომელშიც პირველი ორი ნიშანი აღნიშნავს ქვეყნის კოდს;“.
5. 51¹ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჰ3“, „ჰ4“ და „ჰ5“ ქვეპუნქტები:
„ჰ3) CEPT - ფოსტის და ტელეკომუნიკაციების ევროპის კონფერენცია;
ჰ4) ECA Table - სიხშირეთა განაწილების და გამოყენების ევროპის ერთიანი გეგმა;
ჰ5) ECO – CEPT-ის ელექტრონული კომუნიკაციების ოფისი.“.
6. 51³ მუხლის 1-ლი ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. სამოყვარულო რადიოსადგურები იყოფა შემდეგ კატეგორიად: “A”, “E” ექსტრა და “B”, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდება სიხშირული დიაპაზონებით, გასხივების კლასით და რადიოგადამცემი მოწყობილობის გამოსავალი სიმძლავრით (დანართი N 8).“.
7. 51³ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1¹ და 1² პუნქტები:
„1¹ „A“, „E“ ექსტრა სამოყვარულო რადიოსადგურის კატეგორია შეესაბამება CEPT-ის „CEPT რადიო სამოყვარულო ლიცენზიას“ („CEPT Radio Amateur Licence”, Rec. T/R 61-01).
1² „B“ სამოყვარულო რადიოსადგურის კატეგორია შეესაბამება CEPT-ის „CEPT-ის დამწყები რადიო სამოყვარულო ლიცენზიას“ („CEPT Novice Radio Amateur Licence“, ECC/REC (05)06).“.
8. 51³ მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„2. „B“ კატეგორიის სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენებისთვის რადიოსახმობის მინიჭება ხორციელდება 11 წლის ასაკს მიღწეულ პირებზე; „A“, „E“ ექსტრა კატეგორიის - 16 წლის ასაკს მიღწეულ პირებზე.“.
9. 51³ მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. რადიომოყვარულის კვალიფიკაცია განისაზღვრება საკვალიფიკაციო ტესტირების შედეგით.“.

10. 51³ მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. „E“ ექსტრა კატეგორიის სამოყვარულო რადიოსადგურით სამოყვარულო რადიოკავშირის განსახორციელებლად რადიოსახმობის მიღება შესაძლებელია, თუ „A“ კატეგორიის სამოყვარულო რადიოსადგურით სამოყვარულო რადიოკავშირის განსახორციელებლად მინიჭებული რადიოსახმობის მქონე რადიომოყვარული დაიკავებს პირველ ადგილს შემდეგი საერთაშორისო შეჯიბრებების: CQ WW, WPX, WAE, IARU ან/და ARRL ნებისმიერ ტურში.“.

11. 51³ მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. „A“ კატეგორიის სამოყვარულო რადიოსადგურით სამოყვარულო რადიოკავშირის განსახორციელებლად რადიოსახმობის მიღება შესაძლებელია „B“ კატეგორიის სამოყვარულო რადიოსადგურით სამოყვარულო რადიოკავშირის განსახორციელებლად რადიოსახმობის მინიჭებიდან არა ნაკლებ 1 წლის შემდეგ.“.

12. 51⁵ მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ კომისიის მიერ სამოყვარულო რადიოკავშირის განსახორციელებლად რადიოსახმობის მინიჭების შემდგომ. რადიოსახმობის მინიჭების შემთხვევაში კომისია გასცემს რადიომოყვარულის მოწმობას დანართი 10-ის შესაბამისად“.

13. 51⁵ მუხლის მე-7 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

14. 51⁶ მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სამოყვარულო და სამოყვარულო-თანამგზავრული რადიოსადგურით სამოყვარულო რადიოკავშირის განსახორციელებლად რადიოელექტრონული საშუალებებისა და მაღალსიხშირული მოწყობილობების გამოყოფილი სიხშირული დიაპაზონები მოცემულია სიხშირეთა განაწილების ეროვნულ გეგმაში. აღნიშნულ სიხშირულ დიაპაზონებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შემთხვევაში, იგი შესაბამისობაში უნდა იყოს ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის (ITU) რადიორეგლმენტთან და CEPT-ის ელექტრონული კომუნიკაციების ოფისის ECA Table-ის შესაბამისად, რაც აისახება სამოყვარულო რადიოსადგურის კატეგორიების განმსაზღვრელ ცხრილებში (დანართი 8).“.

15. 51⁶ მუხლის მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

16. 51⁸ მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. რადიომოყვარულს უფლება აქვს საქართველოში იქონიოს მხოლოდ ერთი მუდმივი სახმობი ნიშანი. სახმობი ნიშანი და სამოყვარულო რადიოსადგურის კატეგორია განსაზღვრულია დანართი 10-ში.“.

17. 51⁸ მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. CEPT-ში შემავალი ქვეყნების რადიომოყვარულებს უფლება აქვთ საქართველოში გამოიყენონ უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული სახმობი ნიშანი 4L (საქართველოს ქვეყნის აღმნიშვნელი სიმბოლო ITU-ში) სიმბოლოს წინდართვით პრეფიქსში, თუ მისი ყოფნის ხანგრძლივობა არ აღემატება 3 თვეს. 3 თვეზე მეტი დროით დარჩენის შემთხვევაში, ისინი ვალდებული არიან მიმართონ კომისიას არსებული წესით და CEPT-ის რეკომენდაციის (Rec T/R 61-02) გათვალისწინებით სახმობის მინიჭების თაობაზე.“.

18. 51⁸ მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ინდივიდუალური და კოლექტიური სამოყვარულო რადიოსადგურების გამოყენებისთვის „A“ და „B“ კატეგორიების რადიომოყვარულებს ენიჭებათ ხუთსიმბოლიანი სახმობი ნიშანი. სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენებისთვის „E“ ექსტრა კატეგორიის რადიომოყვარულებს, სურვილის მიხედვით უფლება აქვთ სუფიქსში, არჩევით, დაიტოვონ ერთი სიმბოლო ათი პრეფიქსიდან ნებისმიერ ბლოკზე.“.

19. 51⁸ მუხლის მე-6 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. სამოყვარულო რადიოსადგურების გამოყენებისთვის „A“, „E“ ექსტრა და „B“ კატეგორიის რადიომოყვარულებს მუდმივად ენიჭება 4L1, 4L2, 4L3, 4L4, 4L5, 4L6, 4L7, 4L8, 4L9 და 4L0 პრეფიქსის ნებისმიერი ბლოკი. პრეფიქსში არსებული 4L-საქართველოს კოდი შეიძლება გამოყენებული იქნას სპეციალური ღონისძიებების ჩატარებისას დროებითი, უნიკალური სახმობის მისანიჭებლად.“.

20. დანართი 8 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით რედაქციით:

21. დამატოს დანართი 10 თანდართული რედაქციით:

მუხლი 2

ეს დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 1 ნოემბრიდან.

სამოყვარულო რადიოსადგურის კატეგორიების განმსაზღვრელი ცხრილები
"E" ექსტრა და „A“ კატეგორია

სიხშირული ზოლი	სიმძლავრე (ვტ)	გამოსხივების კლასი	სიხშირული ზოლი	სიმძლავრე (ვტ)	გამოსხივების კლასი
135,7-137,8 KHz 1810-1838 KHz	100 W 1600W	CW	18110-18318 KHz	1000 W	Phone; CW
1838-1840 KHz	1600W	ციფრული (PACKET –ის გარადა); CW	21000-21080 KHz	1600W	CW
1840-1850 KHz	1600W	ციფრული (PACKET –ის გარადა); 3K00R3E; 3K00J3E; CW	21080-21100 KHz	1600W	ციფრული; CW
1850-2000 KHz	< =100W	3K00R3E;3K00J3E; 6K00R3E; CW	21100-21120 KHz	1600W	ციფრული; უპირატესად (packet); CW
3500-3510 KHz	1600W	DX; CW	21120-21149 KHz	1600W	CW
3500-3560 KHz	1600W	CW; (უპირატესად contest CW)	21149-21151 KHz	1600W	IBP
3560-3580 KHz	1600W	CW	21151-21450 KHz	1600W	Phone; CW
3580-3590 KHz	1600W	ციფრული; CW	21340 KHz	1600W	გამოსაძახებელი სიხშირე SSTV და FAX
3590-3600 KHz	1600W	ციფრული; უპირატესად (packet); CW	24890-24920 KHz	1600W	CW
3600-3620 KHz	1600W	ციფრული; CW	24920-24929 KHz	1600W	ციფრული; CW
3600-3650 KHz	1600W	Phone, (უპირატესად contest phone); CW	24929-24931 KHz 24930-25139 KHz	1600W	IBP Phone; CW
3650-3775 KHz	1600W	Phone; CW	24930-25139 KHz	1600W	Phone; CW
3700-3800 KHz	1600W	Phone, (უპირატესად contest phone); CW	28000-28050 KHz	1600W	CW
3730-3740 KHz	1600W	SSTV; FAX, phone, CW	28050-28120 KHz	1600W	ციფრული; CW
3775-3800 KHz	1600W	Dx phone; CW	28120-28150 KHz	1600W	ციფრული;
5351.5-5366.5 KHz	1600W	CW, voice operation			უპირატესად (packet); CW

7000-7035 KHz	1600W	CW	28150-28190 KHz	1600W	CW
7035-7040 KHz	1600W	ციფრული; (PACKET –ის გარადა); SSTV; FAX; CW	28190--29199 KHz	1600W	რეგიონალური IBP დროითი დაყოფით
7040-7045 KHz	1600W	ციფრული; (PACKET –ის გარადა); SSTV; FAX; phone; CW	28201-28225 KHz	1600W	მუდვიმ მოქმედი IBP
7045-7100 KHz	1600W	phone; CW	28225-29200 KHz	100 0W	phone; CW
10100-10140 KHz	1600W	CW	28680 KHz	1600W	გამოსაძახებელი სიხშირე SSTV და FAX
10140-10150 KHz	1600W	ციფრული; (PACKET –ის გარადა); CW	29200-29300 KHz	1600W	ციფრული; (NBFM PACKET); phone; CW
14000-14070 KHz	1600W	CW;	29300-29520 KHz	1600W	თანამგზავრული downeink
14000-14060 KHz	1600W	CW; (უპრატესად contest CW)	29510-29700 KHz	1600W	Phone; CW
			50-52 MHz		ველის დაძახებულობა არ უნდა აღემატებოდეს +6 dB(μV/m) საზღვრის გასწვრივ ხმელეთიდან 10 მ. სიმაღლის ანტენისა და დროის 10% პროცენტისთვის.
14070-14089 KHz	1600W	ციფრული; CW	144-146 MHz	100W	ციფრული; 6K00F3E; 24K0F3E; 3K00R3E; 3K00J3E;
14089-14099 KHz	1600W	ციფრული; (უპირატესად არაავტომატური (PACKET); CW	430-440 MHz	100W	3K00R3E; 3K00J3E; 6K00F3E; 24K0F3E;
14099-14101 KHz		IBP	1240-1300 MHz	10W	ციფრული
14101-14112 KHz	1600W	ციფრული(უპირა ტე სად დაგროვება- რეტრანსლაცია) Phone SSB; CW	2320-2450 MHz	10W	3K00R3E;
14112-14125 KHz	1600W	Phone SSB; CW	5650-5850 MHz	10W	3K00J3E;
14125-14300 KHz	1600W	Phone უპირატესად	10-10.5 GHz	5W	

		(contest phone) SSB; CW			
14230 KHz	1600W	გამოსამახებელი სიხშირე SSTV და FAX	47-47.2 GHz	5W	6KOOA3E;
14300-14350 KHz	1600W	Phone SSB; CW	75.5-81 GHz	5W	6KOOF3E;
18068-18100 KHz	1600W	CW	119-120.026 GHz	5W	
18100-18109 KHz	1600W	ციფრული; CW	142-149 GHz	5W	24KOF3E;
18109-1811 KHz	1600W	IBP	241-250 GHz	5W	

„B“ კატეგორია

სიხშირული ზოლი	სიმძლავრე(ვტ)	გამოსხივების კლასი	სიხშირული ზოლი	სიმძლავრე (ვტ)	გამოსხივების კლასი
135,7-137,8 KHz 1820 2000 KHz	100 W 400W	100HAIA	21000-21450 KHz	400W	100HAIA
1840 -2000 KHz	100W	3KOOR3E;3KO OJ3E	21080-21120 KHz	400W	ციფრული
1900-2000 KHz	400W	6KOOR3E	21150-21450 KHz		3KOOR3E;3KOOJ 3E
3500-3800 KHz	400W	100HAIA	24890-24990 KHz	400W	100HAIA
3580-3620 KHz	400W	ციფრული	24920-24929 KHz	400W	ციფრული
3600-3800 KHz	400W	3KOOR3E;3KO OJ3E	24930-24990 KHz	400W	3KOOR3E;3KOOJ 3E
3730-3740 KHz	400W	SSTV; FAX	28000-28700 KHz	400W	100HAIA
7000-7100 KHz	400W	100HAIA	28050-28150 KHz	400W	ციფრული
7035-7045 KHz	400W	ციფრული; SSTV; FAX	28200-29700 KHz	400W	3KOOR3E;3KOOJ 3E
			50-52 MHz		ველის დამაბულობა არ უნდა აღემატებოდეს +6 dB(μV/m) საზღვრის გასწვრივ ხმელეთიდან 10 მ. სიმაღლის ანტენისა და დროის 10% პროცენტისთვის.
7040-7100 KHz	400W	3KOOR3E;3KO OJ3E	144-146 MHz	25W	100HAIA 6KOOF3E;
10100-10150 KHz	400W	100HAIA	430-440 MHz	25W	24KOOF3E;
10140-10150 KHz	400W	100HAIA			3KOOR3E;3KOOJ 3E

14000-14070 KHz	400W	CW	1240-1300 MHz	5W	100HAIA 24KOOF3E 3KOOR3E; 3KOOJ3E 6KOOA3E; 6KOOF3E;
14000-14060 KHz	400W	CW(უპირატესად დ contest CW)	2320-2450 MHz	5W	
14070-14089 KHz	400W	ციფრული; CW	5650-5850 MHz	5W	
14089-14099 KHz	400W	ციფრული; (უპირატესად არავტომატურ ი packet); CW	10-10.5GHz	5W	
14099-14101 KHz		IBP	24-24.5 GHz	5W	
14101-14112 KHz	400W	ციფრული (უპირატესად დაგროვება_ რეტრანსლაცია) POHONE SSB; CW	47-47.2 GHz	5W	
14150-14350 KHz	400W	Phone SSB; CW			
14230 KHz	400W	SSTV; FAX	75.5-81 GHz	5W	
18068-18168 KHz	400W	100HAIA	119.98-12002 GHz	5W	
18100-18109 KHz	400W	ციფრული;	142-149 GHz	5W	
18110-18168 KHz	400W	3KOOR3E;3KO OJ3E	241-250 GHz	5W	

რადიომოყვარულის მოწმობა

Radio amateur certificate
Certificat de radio amateur
Radio amateur zertifikat

დანართი 10

სურათის
ადგილი

კომუნიკაციების კომისია

Communications Commission
Commission des communications
Kommunikations kommission

მოწმობის დეტალები

Certificate details
Renseignements sur la certificat
Zertifikat details

<p>სამოყვარულო რადიოსადგურის კატეგორია Amateur radio class Classe de radio amateur Amateur radio klasse</p>	
<p>CEPT-ის მიერ განსაზღვრული ექვივალენტური კატეგორია CEPT equivalent licence class Classe de licence CEPT équivalente Entsprechende CEPT-Klasse</p>	
<p>რადიომოყვარული Radio-amateur name Nom du radio-amateur Name des Funkamateur</p>	
<p>კოლექტიური რადიოსადგურის დასახელება Club name Nom du club Name des Klubs</p>	
<p>სახმობი ნიშანი Callsign Indicatif d'appel Rufzeichen</p>	
<p>საფოსტო მისამართი Mailing address Adresse postale Postanschrift</p>	
<p>რადიოსადგურის განთავსების მისამართი Main Station Address Adresse de station principale Hauptstationsanschrift</p>	
<p>გაცემის ვადა Issue date Date de délivrance Ausstellungsdatum</p>	
<p>მოქმედების ვადა Expire date Date d'expiration Ablaufdatum</p>	
<p>მოწმობის N Certificate number Numéro de certificat Zertifikatsnummer</p>	

ხელმოწერა

ბ. ა.